ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №70-2014

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 25 მარტს ქ. თბილისში

<u>შემსყიდველი:</u> „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
ადმინისტაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 77
საბანკო რეკვიზიტები: „თი ბი სი" ბანკი; ბანკის კოდი: 220101830; ანგ. № ა/ა GE47TB0600000003408001; ს.კ. 211349192
<u>მიმწოდებელი:</u> არასამეწარმეო იურიდიული პირი „თვითმმართველობის მაცნე"
დირექტორი: ნ. კალანდაძე
მისამართი, ტელეფონი: მარჯანიშვილის №31
საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ, ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგ.№GE35BG0000000783135500, ს.კ. 443567828.

ერთის მხრივ – **შემსყიდველი,** და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი,** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს საინფორმაციო მომსახურება (ბეჭდვა და გავრცელება-CPV79824000) გაზეთ „თვითმმართველობის მაცნის" ერთ ნომერში და უზრუნველყოს ინფორმაციის გამოქვეყნება გაზეთის ერთ გვერდზე, რომლის ღირებულება 1 სმ^2-ზე შეადგენს 0,15 ლარს.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი, ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე;

3.2. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ 20 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია: ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი), ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან ო. ზუმბურიძეს (საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურის უფროსი). მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

5.3. მიწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორსმაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავის გადაწყვეტა

8.1. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულებებს პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	**მიმწოდებლის მხრიდან**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	**არასამეწარმეო იურიდიული პირი „თვითმმართველობის მაცნე"**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,	**დირექტორი ნ. კალანდაძე**
ქ. ქოქრაშვილი	
_____	_____